<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხისთვის სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევს, მასთან არსებულ უსახელო ჩიხს და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხს მიენიჭოს სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ჭიჭიკო ბენდელიანის გორას ქუჩა
ჯავის ქუჩა
01.12.11.057.051
01.12.10.015.014
01.12.10.016.010
01.12.11.051.004
გიორგი ხაჯაძის ქუჩა
ნიოლაშვილის ქუჩა
ილია ჭავჭავაძის ქუჩა
დიდი ჯიხაიშის ქუჩა
ჭიჭიკო ბენდელიანის ქუჩა
ცისარტყელას ქუჩა
ცოტნე დადიანის ქუჩა
ვაჟიკა ფხოველის ქუჩა
01.12.13.009.007
01.12.14.025.0
01.12.13.009.047
01.12.13.016.019
01.12.12.020.009
01.12.12.024.027
024.195
12.024.246
NAPR
1 : 3348
გეოგრაფიული (გრძედი,განე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011762164744022

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 194322 **16 / ნოემბერი / 2022 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ნინო ვარდოსანიძეს
ასლი: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს (საქალაქო სამსახურის უფროსი)
ლევან ნაროუშვილს

ქალბატონო ნინო,

2022 წლის 30 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარედგინა თქვენი N 14-01220893773 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 113294/17) მომართვა, რომლითაც მოთხოვნილია მომართვაზე წარმოდგენილ დანართში მითითებულ ქუჩებზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია სიტუაციური რუკის სახით, ასევე მითითებულ ქუჩებზე დასანომრი ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრის ძალაში არსებული მონაცემების თანახმად, ქალაქ თბილისში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები შემდეგი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, ჭიჭიკო ბენდელიანის გორა“ და „ქალაქი თბილისი, ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხი“.

დანართის სახით გიგზავნით აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტების ამსახველ სიტუაციურ რუკას. საქმისათვის არსებითი მნიშვნლეობის მქონე გარემობების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია - „ჭიჭიკო ბენდელიანის გორა“ წარმოადგენს თუ არა გეოგრაფიული ობიექტის მოქმედ სახელწოდებას. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ გეოგრაფიული ობიექტის „ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხის“ დასაწყისი და დასასრული მართებულად არის თუ არა რეგისტრირებული სამისამართო რეესტრში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე და მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ნესტორ გარდაფხაძე

(1867-1924)

ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი, ანტისაბჭოთა მოძრაობის მონაწილე

დაამთავრა პავლეს სამხედრო სკოლა სანქტ-პეტერბურგში (1889). სამხედრო სამსახური დაიწყო რუსეთის იმპერიის არმიაში (კაპიტანი, 1909). 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროში, იყო ქართული სამხედრო სკოლის პირველი გუნდის უფროსი. მონაწილეობდა სომხეთთან ომში (1918). 1921 წლის თებერვალში იბრძოდა საბჭოთა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ თბილისის მისადგომებთან; ტაბახმელის ფრონტზე მეთაურობდა იუნკერთა ასეულს. იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1921-1922 წლებში ხელმძღვანელობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სვანეთის აჯანყებას. 1922 წელს მოლაპარაკებების შედეგად მოსახლეობის მოთხოვნით ზემო სვანეთის რწმუნებულად დაინიშნა. 1923 წლის ივნისში გარკვეული ხნით დაპატიმრებული იყო. 1924 წლის მარტიდან ზემო სვანეთში შეუდგა ახალი შეიარაღებული რაზმის ჩამოყალიბებას.

1924 წლის ივლისში კვლავ დააპატიმრეს და სექტემბერში დახვრიტეს მუშნი და ოთარ დადიანებთან ერთად.